ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 18-47

“ 22 ” ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში (ვებგვერდი matsne.gov.ge; 24/12/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016076) და დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

,,4^1. თბილისის მერი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 71-ე და 72-ე მუხლების შესაბამისად, განსაზღვრავს უფლებამოსილ პირს/პირებს.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი 04/06/2016; სარეგისტრაციო კოდი: 040200010.05.001.018126) პირველი მუხლით ცვლილება შევიდა ამავე კანონის 23-ე, 71-ე და 72-ე მუხლებში, რაც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირისათვის მუნიციპალიტეტის დასახლებაში პირის დაბადების/გარდაცვალების შესახებ ფაქტების შეტყობინებისა და ოქმის შედგენა/გაცემის ვალდებულების დაკისრებას.

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, მუნიციპალიტეტების გამგებლებმა/მერებმა ამ კანონის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 30-ე დღისა უნდა უზრუნველყონ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულების გამგეობის/მერიის მოხელეებისათვის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების გამოცემა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 71-ე და 72-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირების განსაზღვრის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 4 ივლისის N1-1179 ბრძანების პირველი პუნქტით განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების უფლებამოსილი პირები.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ვალდებულებით, კერძოდ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის/მერის წარმომადგენლისთვის შესაბამისი ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის დებულებაში ცვლილების შეტანა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს 4[1] პუნქტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, კერძოდ, თბილისის მერი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 71-ე და 72-ე მუხლების შესაბამისად, განსაზღვრავს უფლებამოსილ პირს/პირებს.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი (დამატებითი) ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახური.

დ) პროექტის წარმდგენი:

პროექტის წარმდგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.